

ტობის წიგნის ნარევი ვერსია ბერძნულ საბურველში

ტობის წიგნის ემიტურენაზე (ებრაულად, ანუ ფრო სავა- რაუდებელია, არამეულად) შეიქმნა, თუმცა ეს სემიტური დე- დანი დღესდღეობით დაკარგულია (მხოლოდ რამდენიმე არა- მეული და ერთი ებრაული ფრაგმენტი აღმოჩნდა ყუმრანში). ბერძნულად წიგნის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: მოკ- ლეტექსტი (Greek I), რომელიც წარმოდგენილია წყაროთა უმეტესობაში და ვრცელი ტექსტი (Greek II), რომელიც შემო- ნახულია თითქმის სრულად სინაიტისკუსში (აქვს რამდენიმე მცირე ზომის ლაკუნა და დაკლებული ტექსტი ჯამში 16 მუხლს შეადგენს) და ნაწილობრივ (3:6 – 6:16) ერთ მინუს კულურ ხელ- ნაწერში (319). მესამე ვერსია (Greek III) მე-14 საუკუნის 2 ხელნაწერშია (106-107) დაცული, თუმცა არასრულად. შემორ- ჩენილი (6:9–12:22) ტექსტი სრული მოცულობის ნახევარზე ნაკლებს წარმოადგენს. ეს შუალედური ვერსია ასევე ნაწი- ლობრივ შემონახულია სირიულ პეშიტაში (7: 11 – 12:22 და მე-

14 თავი) და სრულადაა წარმოდგენილი ქართულში. მოხსენების მიზანია ამ ვერსიის ბერძნულად შემორჩე-

ნილი ნაწილის თავისებურებათა აღწერა დანარჩენ ორ ბერ- ძნულ ვერსიასთან შეპირისპირების გზით. როგორც ჩანს, მესამე ბერძნული ტექსტუალური ტიპი დანარჩენი ორის შე- ჯერებითაა მიღებული. ასევე ვაჩვენებთ, თუ რა გრძელი გზა განვლო ამ შუალედურმა ვერსიამ, სანამ ლათინურად ითარგმნებოდა.